15 (27) სეკტემბერს 1867. № 37. მეორე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

ვაზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:
ერთის წლისა — 7 მან.
ნახევრის წლისა — 4 —
სამის თვისა — 2 — 50 კ.

ვაუგზავნელათ:
— — — 6 მან.
— — — 3 — 50 კ.
— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება" გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ხელის-მოწერა მიიღება:
ტფილისში „დროების" რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, შებუთოვის სახლში.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ".
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

### რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ" ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირველისავე ნუმრიდამ.

---

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების" ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

---

შინაარსი:—პოლიტიკა: ფრანცია. იტალია. ოსმალო.—ტელეგრამმები.—სალიტერატურო ნაწილი: მგზავრის წიგნები.—ფელეტონი: შეუსრულებელი სურათი.—სხვა და სხვა ამბავი: შეერთებული ტყუპი. შიშისაგან სიკვდილი.—საბიბლიოგრაფო ცნობა.

---

# პოლიტიკა.

ფრანცია. გაზეთი „Liberté", 3-ს სეკტემბრის ნომერში ისევ წინაალმდეგათ გაუხდა ფრანციის ეხლანდელს მმართველობას. გაზეთი განიხილავს კრიტიკულათ ფრანციის მმართებლობის მოქმედებას ორს სხვა და სხვა პერიოდში. იმის აზრით პირველი პერიოდი იწყება ნაპოლეონის III ტახტზე ასვლიდამ 1860 წლამდინ. ამ პერიოდში, თუმცა მმართებლობა არა ჰყვიროდა, მაგრამ კარგათ მოქმედებდა. მეორე პერიოდი არის ორატორობის (მჭევრ-მეტყველობის) პერიოდი, რომელშიაც მმართებლობა ბევრს ჰყვიროდა და მჭევრ-მეტყველებდა; ის იწყება იმ დროდამ, როდესაც გამოიცა დეკრეტი 1860 წლისა და მომდინარეობს ამ ჟამამდე.

რაც რომ ამ მეორე პერიოდში მომხდარა, იმას აი რა რიგათ ჩამოსთვლის გაზეთი Liberté: „პოლშა დაამხვეს, დანია აიკლეს, მეხიკის იმპერია დაეცა, გერმანიის იმპერია აღსდგა. ვაჭრობასა და მოხელეობას ცუდი დღე დაუდგა. ლუქსემბურგის საქმეზე ვერა გარიგდა რა. ამასთანავე ადრესის მიცემის ნებაც მოისპო. პირველმა პერიოდმა სევასტოპოლის აღებით თავი ისახელა; მეორე პერიოდში კი სადოვის ბრძოლა მოხდა; პირველი პერიოდის განმავლობაში ბევრი დიდება მოვიმკეთ; მეორე პერიოდში კი აურაცხელი შეცდომილება ჩაიდინა მმართებლობამ; პირველს პერიოდში ჩვენი ცა მოწმენდილი იყო; მეორე პერიოდში კი ცას შავი ფორაჯები დაეცა; პირველი პერიოდი ამაყობს სოლფერინოთი, მეორე კი თავს ირცხვენს ქვერეტაროთი.

— პარიჟის გაზეთებში გამოაცხადეს კირკულიარი შესახებ ზალცბურგში ხელმწიფეების ერთმანეთის ნახვისა; ეს ცირკულიარი არის მიწერილი ფრანციის უცხო ქვეყნის საქმის მინისტრისაგან ფრანციის სადიპლომატო აგენტების სახელზედ, რომლებიც სამზღვარს გარეთ არიან. „პარიჟი, 25 აგვისტოს. მოწყ. ხელმწ., იმპერატორმა და იმპერატრიცამ ზალცბურგში წასვლის დროს გამოსთქვეს ხალხში იმ გვარი მშვიდობიანი აზრი, რომელზედაც იჭვი აღარავის შეეძლო შეეტანა. მე არაფერს ვიტყოდი ზალცბურგში ხელმწიფეების ერთმანეთის ნახვაზედ, თუ გავრცელებული არ იყოს ცრუ აზრი ამ ნახვის, შესახებ, რომელსაც ცდილობენ მისცენ სხვა გვარი მნიშვნელობა. მათმა უდიდებულესობამ ინებეს ზალცბურგში წასვლა მხოლოთ იმისთვის, რომ გამოუცხადონ თანაგრძნობა და გულმტკივნეულობა ავსტრიის საიმპერატორო სახლსა, რომელსაც შეემთხვა ამ ცოტას ხანში ოჯახის უბედურება. ამას იჭვი არ უნდა, რომ ხელმწიფეები თავისის რამდენისამე დღის ტკბილის საუბარის დროს ეტყოდნენ რასმე ერთმანეთს შესახებ საქმეებისა, რომლებსაც საზოგადო მნიშვნელობა აქვსთ; მაგრამ არც საგანი ამ საუბარისა, და არც იმათზედ რამ გადაწყვეტილობა არ შეეხებოდნენ ფრანციის და ავსტრიის შორის კავშირის შედგენას, რომლის საჭიროებასაც არა ფერი არ მოითხოვს ეხლანდელს ევროპის მდგომარეობაში. იმპერატორი ნაპოლეონის და იმპერატორი ფრანც-იოსების ერთმანეთ შორის მოლაპარაკებას არა ჰქონდა ის აზრი, რა აზრიც რომელთამე მწერალთ მიაწერეს. ორივე ხელმწიფეებმა ისევ ზალცბურგში შეყრის წინათ, თვით საქმით დაამტკიცეს მშვიდობიანური გრძნობის ქონვა, რომლითაც მათი მმართებლობა ხელმძღვანელობდა. როდესაც ერთმანეთი ნახეს იმპერატორებმა, არ შეეძლოთ სხვა რამე ჰქონოდათ ახეში, მხოლოთ წინანდელი პოლიტიკის ერთგულათ დარჩომის მეტი. მოლაპარაკების დროს საქმეებზედ, რომლებსაც საზოგადო მნიშვნელობა აქვსთ, იმპერატორები მხოლოთ ცდილობდნენ ეპოვნათ ახალი შუამავლობა მშვიდობიანობის დასამყარებლათ, და ესრეთ, მოწყ. ხელმ., გარეშე სახელმწიფოები არამც თუ არ უნდა სწუხდნენ ზალცბურგში ხელმწიფეების ნახვაზე, არამედ, ამის წინაალმდეგ, ამ ნახვას ისე უნდა უყურებდნენ, როგორც ახალს შუამავლობას საერთო მშვიდობიანობის დასამყარებლათ. მე ვალათ შევრაცხე გამოვსთქვა თქვენს წინ ჩემი აზრი შესახებ ცნობაებისა, რომლებითაც საქმის წინაალმდეგ შეხედულობას ავრცელებენ. თქვენ შეგიძლიანთ იხელმძღვანელოთ ჩემგნით მოხსენებული საბუთებით იმ ცრუ აზრის გასამტყუვნებელათ შესახებ ზალცბურგში ხელმწიფეების ერთმანეთის ნახვისა, რომელნიც თქვენს სმენამდინ მოაღწევენ. „მიიღეთ და სხვა. ხელმოწერილია: მუტიე.

უფ. ტროლონის აზრი ფრანციის ჯარის შესახებ, 2-ს სეკტემბრიდგან მონიტორში მოყვანილია სიტყვა, წარმოთქმული უფ. ტროლონისაგან, საგენერალო რჩევის პრეზიდენტისაგან ევირეაში, ჯილდოების დარიგების დროს იქაურს პირველ დაწყებით სასწავლებელში. ეს სიტყვა არის მიქცეული პირველ დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებელთადმი. „ამას იჭვი არ უნდა—სთქვა უ. ტროლონმა—რომ ფრანცუზები ბუნებითვე ისეთი ნიჭიერნი არიან, რომ ისინი თავისის საკუთარი გონების ძალით ხშირათ ისრეთ საქმეებს აკეთებენ, რომლებსაც სხვები მხოლოთ ხანგრძლივის და დიდის ხნის შრომის წურთვნით სასწავლებელში მოიპოვებენ. ჩვენ ვირიცხვოდით დიდებულ ხალხათ, როგორც მშვიდობიანობის დროს, ისე ომიანობის დროსაც, მაშინ როდესაც ჯერ განათლება არ გავრცელებულიყო ყოვლგნით ჩვენს ხალხში. ფრანცუზი თავისის ბუნებითის ნიჭით, თავისის მოხერხებულობით, მიმხდომლობით, და მკვირცხლის გონებით წიგნის უცოდნელათაც მუდამ სანაქებო სალდათი იყო, საუცხოვო მხვნელ-მთესველი და საუკეთესო მუშა—რომ-

---

### შეუსრულებელი სურათი.

III.

კაცის ცხოვრება არის ნაყოფიერი შრომა. ამ შრომის გაუსწევლათ კაცი არ არის კაცი, ან უკეთა ვსთქვათ, თუმცა იმას ყოველივე ატრიბუტები კაცისა აქვს, მაგრამ ის არის მავნე მწევრი კაცობრიობისა, არის მძოვრი.

რომ კაცსა დაკმაყოფილებული ჰქონდეს თავისი ყოველივე ბუნებრივი მოთხოვნილებანი, უნდა ყველა კაცმა დაუდგრომლივ იშრომოს. რასაკვირველია, ეს შრომა უნდა იყვეს ნაყოფიერი და გონივრული. უკეთუ ყველა ამ გვარათ არ იშრომებს, უეჭველია, რაც შრომა დააკლდება კაცობრიობასა, იმის დაგვარ უნდა ნაკლებულებაცა ნახოს უპირველესს ბუნებრივს მოთხოვნილებაებში. და რამდენიც კაცი ნაკლებულებასა ნახავს და არ შეისრულებს ბუნებრივს მოთხოვნილებაებსა, იმდენათ ის უეჭველია იხდენს და იუძლურებს თავსა, როგორც სხეულით ისე ჭკუითა.

ჩვენა ვსთქვით, რომ შრომა გონივრული უნდა იყვესო. მკითხველმა უნდა მიაპყრას ამ სიტყვებს გონება. შრომაც არის და შრომაცა. იმ გვარი შრომა, სადაც კაცი თავს წაიხდენს უბრალოთა, თუნდა ეს შრომა ნაყოფიერიც იყვეს, არ არის ნამდვილი გონივრული შრომა. თუ კაცი მარტო ერთს საქმეს ადგია, ან სულ ერთმანერთის გვარს საქმეებს ადგია თავისი დღენი, ამ გვარი შრომა არის მავნებელი კაცისთვის. როდესაც კაცი მარტო სულ ერთ გვარს საქმეს ადგია, იმან ყოველივე თვისი ძლიერება, რომელიც საჭირო არის ამისგნით ამორჩეულის საქმისთვის, უნდა მიაპყრას ამ საქმეებსა. სხვა მხარეები კი კაცის აგებულებისა და თვისებისა—ბუნებრივნი ნიჭნი რჩებიან უქმათა და უძლურდებიან, ან ზოგჯერ კიდეც სულ დაიხშვიან. ეს ცხადია, და ვისაც ცოტაც არის ყური უდევნებია, თითონაც ექნება შენიშნული, სადამდინაც არის მართალი ეს ჩვენი სიტყვები. მაგალითათ: ავილოთ და შევიხვიოთ ორიოდე დღე თვალი, ასე რომ სულ სინათლეს ნუ დავანახვებთ; მერე, როდესაც ავიხსნით თვალსა, ის მინამ არ შეეჩვევა ისევ სინათლესა და არ გავარჯიშდება თავის ხელობაში, მინამ ეჩოთირება სინათლის დანახვა,—ესე იგი, დაუკარგავს იმოდენათ მოქმედების ძალა, რამდენს ხანსაც ყოფილა უმოქმედობაში, უკეთუ სამის დღის მაგიერათ, მაგალითათ სამს წელიწადს ავიკრავთ თვალსა და ამ ხანებში სულ არ დავანახვებთ სინათლესა, მაშინ ეს თვალი ან სულ დაჰკარგავს მოქმედების ძალასა (მხედველობასა) და თუ კიდევ რომელისამე ღონის ძიებით მოიპოვის თვისს ძალასა, მოიპოვის ძალიან გვიანა. თუ კიდევ უფრო დიდს ხანს იქნება ეს თვალი მოშორებული თვის ხელობასა (სინათლის მიღებას—მხედველობასა), მაშინ საიჭვოა, რომ რამე ღონიძიებამ უშველოს. როგორც თვალზედ არის ეს უმოქმედობის კანონი ცუდი და დამამხობელი, ეგრეთვე ეს კანონი მოქმედებს ყოველს სხეულსა და ყოველს კაცის ძლიერებაზედა. როდესაც კაცი მარტო ერთს თავის აგებულების მხარეს ან ნიჭს ამოქმედებს და სხვები უმოქმედოთა და უვარჯიშოთა აქვს, მაშინ ეს მხარეები, თუ ნიჭები, უძლურდებიან, ან სულა ჰკარგავენ მოქმედების ძალასა.

აგრეთვე ერთის რომელსამე მხარის მეტის მეტათ მოძრაობაში მოყვანა და დაუცხრომლათ ამ მხარეებით მოქმედება ულევს ამ მხარეს ძალასა და მალე უღებს ბოლოსა. რამდენიც კაცი ამოქმედებს რომელსამე მხარესა, იმდენი ამ მომქმედს მხარეს აკლდება თავისი შემადგენელი ნაწილები; და უკეთუ კაცი არ მისცემს ამ მოქმედებაში მოყვანილს მხარეს საკმაო დასვენებასა, მაშინ ეს მხარე თან და თან დაჰკარგავს თავის შემადგენელ ნაწილებსა და ბოლოს იქამდინ მიახწევს, რომ, რაკი საკმაო არ ექნება მოქმედებისთვის საჭირო თავისი შემადგენელი ნაწილები, მოიშლება და კაცს აღარ შეეძლება ამათი მოქმედებაში მოყვანა. ამის მაგალითს ვხედავთ ჩვენ იმგვარს კაცებზედა, რომელნიც მეტის მეტათ დასწოლიან ერთის მხარის მოქმედებასა და არ აძლევენ იმათ საკმაო დასვენებასა. რასაკვირველია, ყველაზედ ერთნაირათ არა მოქმედებს ეს კანონი,—ეს კაცის აგებულებაზედ ჰკიდია, მაგრამ ვინც უნდა იყვეს, დღეს არის თუ ხვალა, ეს კანონი უჩვენებს თავის ძალასა.

აქედამ ცხადათ გვიჩვენებს ბუნება, რომ ჩვენ უნდა ნიადაგ შრომაში ვიყვნეთ; მაგრამ ეს შრომა უნდა გვქონდეს აწონილი, მოსაზრული და უნდა ყოველთვის, როდესაც საჭიროა, შევცვლიდეთ სამუშაოსა. ვსთქვათ ეხლა ვშრომობთ გონების სამოქმედო საქმეზედა და იმდენს ხანს ვსაქმობთ, რომ შევატყოთ ჩვენს თავს ამ საქმეში დაღალვა, მაშინ ჩვენ უნდა გონება დავასვენოთ და ვიწყოთ სხეულით მეხანიკური მოქმედება, სადაც ძალა დატანებით გონების მოქმედება არ არის საჭირო: ამ ხანებში ისვენებს გონება. ახლა, როდესაც დაიღალება სხეული მეხანიკურის მოქმედებითა, მაშინ უნდა დავაწყებინოთ მოქმედება ან ისევ გონებასა, ან სხვა რამე ნიჭიერებასა, რომელიც მოქმედებაში არ იყო, რომ მინამ იმ სხეულმა დაისვენოს, რომელიც იყო მოქმედებაში. ამ გვარათ კაცს შეუძლიან განაღვიძოს თავის თავში სხვა და სხვა ნიჭი, რომლებშიაც კაცი ჰხედავს თავის თავს ხალისიანათა. ამასთან ამ გვარს მოქმედებაში არცა ჰლუპავს კაცი ერთს ნიჭს მეტის მოქმედებითა და მეორეს—უმოქმედობითა. ამასთანავე ამ გვარს შრომაში მინამ ერთი მოქმედობს, მეორე ისვენებს და ამ გვარათ მოყვანილს მოქმედებაში ნიჭებს ეძლევათ სიმარჯვე გამხნევებისა და გაუმჯობესობისა. მართალია, ამ ხანებში შეუძლებელია, რომ იმათ ისე კარგათ და სრულათ დაისვენონ, რომ სრულებით აღადგინონ ის ნაწილები, რომელნიც მოქმედების დროს იმათ დაუკარგავთ, რადგან ერთი მხარის მოქმედება და დაღალვა, თუმცა ძალიან მცირეთ, მაგრამ მაინცა

ელიც არაფერში არ დაუვარდებოდა იმათ, ვინც დაბადების კითხვა კარგათ იციან. ფრანციის სალდათი, თუგინდ ის სულ უსწავლელი იყოს, ეხლაც, ამ მინუტშიაც საშიშარია მტრისათვის და ფერი არ მისდის ნემსის თოფების სასისხლო გამარჯვებისგან. ეს ყველაფერი მართალია. მაგრამ, უნდა ვკითხოთ, როგორ შეიძლებს ეს მამაცი სალდათი, რომელსაც ბადალი არა ჰყავს, მიაღწიოს მაღალს ხარისხსა, თუ არ ისწავლის კითხვას და წერასა? წიგნის უცოდინრობა, როგორც ამ შემთხვევაში, ისე სხვა ყველა შემთხვევაშიაც მავნებელია; ეს ცხადია, მომავალს დროში ეს უცოდინრობა შეიძლება თავიდგან მოვიშოროთ მხოლოთ თქვენის დაუძინებელის შრომით და მეცადინობით, უფალნო მასწავლებელნო“.

**ფრანციის ალჭურვა.** ფრანციის გაზეთები მოგვითხრობენ შემდეგს ამბავსა ფრანციის საომრად მზადებაზე. გაზეთში „Messager de Toulouse“ სწერენ: „მედონში შინჯავენ ხოლმე ერთს პატარა ახალ გამოგონილს ზარბაზანს, რომელიც არის ყველაზე საშიშარი, რაც კი აქამომდე სამხედრო იარაღი გამოუგონიათ. შინაგანი მოწყობილება ამ ზარბაზნისა არტილლერიის აფიცრების მეტმა არავინ იცის. მეშის ჩემოდნებით მოიტანენ ხოლმე ზარბაზნებს, ზარბაზნების დასადგმელებს და სხვა კუთვნილს სამზადისს. მაყურებლები მხოლოდ იმას ხედვენ, რომ ზარბაზნები მიზანს აავსებენ ხოლმე ორვერს ნახევარზე ტყვიებითა. დასმულს მიზანს ერთი საჟენი სიმაღლე აქვს და ნახევარი სიგრძე. ორ ვერს ნახევარზე ზარბაზნის ტყვია გახვრეტავს ხოლმე ერთი გოჯის სისქე რკინის ფიცარსა. მინუტში თითო ზარბაზანი ოცჯერ გაისვრის, ორი კაცი სრულებით საკმაოა, რომ ზარბაზანი თავის მორთულობით ერთ ადგილიდგან, საცა უნდა, იქ წაიღოს. როგორც ყოვლის ფრითა სჩანს არტილერისტები ძალიან კარგათ ჰხმარობენ ამ ზარბაზნებსა“. იმავე კორესპონდენტის სიტყვით, ჯარებს ურიგებენო შასპოს თოფებს და მაშინვე ჰგზავნიანო აღმოსავლეთის საზღვრებზე. „პატარა ზარბაზნების შინჯვა აქამომდე არ შეუწყვეტიათ. დიდი ხანი არ არის მას უკან, რაც ერთს ვერს ნახევარზე ამ ზარბაზნებით დაუწყეს სროლა ერთს ტყესა. რამოდენისამე მინუტის განმავლობაში ხეები სულ ერთიანათ ისე დაჰფინა მიწაზე თითქოს ცელით მომკილი ყანა ყოფილიყოს. საშინელი სანახავი იყო! ამ ზარბაზნებით ალჭურვილს ხუთს და ექვსს კაცს შეუძლიან რამოდენსამე მინუტში მთელი პოლკი გასწყვიტოს. რომ როგორმე უვნებელი ჰყონ ის საშინელი ხოცვა, რომელიც ახლანდელს გამოგონილს სამხედრო იარაღებს შეუძლიანთ მოახდინონ და რომ შტიკმა ისევ მიიღოს უწინდელი მნიშვნელობა, მხედრობის პირნი ჰფიქრობენ შემოიღონ ღამ-ღამით ბრძოლა. ღამით ბრძოლის ტაკტიკასა (რიგსა) ძალიან დაწვრილებით სწავლობენ სენსირისა და პოლიტეხნიკურს შკოლებში და უმთავრესს შტაბის სასწავლებლებში. ამას გარდა საკანონირო ნავებსაც აკეთებენ. ეს ნავები ასეთია, რომ იმათი დაშლა და საცა გინდა, იქ წაიღება, ძალიან ადვილია. რამოდენისამე საათის განმავლობაში ჩვენ შეგვიძლიან რეინზე გადვიტანოთ მთელი ფლოტი, რომლის მძლავრი ზარბაზნები, თუ საჭირო იქნება, მაინციდგან, კობლენციდგან და ერენ-ბრეიტშტეინიდგან სროლას დაადუმებენ.

**იტალია.** გარიბალდი. 29 აგვისტოს ტურინის გაზეთში სწერენ ორვიეტოდგან: „ბევრი გარნიზონის სალდათები ხალხთან ერთათ სიხარულით მიეგება გარიბალდის და შეჰყვირეს ყველამ ერთი ხმით „გაუმარჯოს რომსა!“ ჩვენ გვინდა რომი!“ ამ ხმამ გარიბალდი გრძნობაში ჩააგდო და წარმოათქმევინა: „როგორც უნდა იყოს, გინდ ერთათ იყოს, გინდ ცალკე, სულ ერთია, ადრე იქნება, თუ გვიან ჩვენ მაინც რომში შევალთ. ახლა იმისთანა ჟამი დაგვიდგა, რომ საქმის წინ მსვლელობა თავის თავათვე მოხდება ხოლმე. ამ შემთხვევაში კაცის ნება ულონოა. რომი უნდა ეკუთნოდეს და კიდეც მიეცემა იტალიას“. ფლორენციაში რომ გაზეთი di Popolo“, გამოდის, იმაში აი რა არის დაბეჭდილი: „ჩვენ მივიღეთ გულდასამშვიდებელი ამბავი გენერლის გარიბალდის განზრახვაზე. წარსულს ოთხშაბათს, იმას არეცოში მოელოდნენ; როგორც ეტყობა, ის უარს ამბობს თავ გამოსამეტებელს პლანზე. ამბობენ, ვითომც ერთს უავგუსტესს გვამთაგანს დაეწყოს ლაპარაკი გარიბალდისთან, მოეწონებინოს იმისი პატრიოტული გულის წადილი, მაგრამ ვითომც ერჩიოს, რომ იმან ამ ქ მად არ აღრძას ხალხი და ამით არ შეარყიოს საზოგადოების მყუდროება და ხალხის კეთილმდგომარეობა. ამ რჩევისგამო გარიბალდი დაეხსნაო რომზე გალაშქრებასა. თუ რამდენათ მართალია ეს ამბავი, არა ვიცით რა, მაგრა არა გვჯერა კი, რომ გარიბალდიმ ასე ადვილათ თავი დაანებოს თავისს სულგრძელს განზრახვასა. შესაძლებელია, რომ იმან ყურადღება მიაქციოს თავისის საყვარლის იტალიის საჭიროებასა და დროებით გადასთქვას თავისი განზრახვის ასრულება.

**ოსმალო.** კანეიდგან იწერებიან გაზეთში „Journal de St—Petersburg“ 6 (18 აგვისტოდგან:) „თვით შესანიშნავი ამ უკანასკნელს კვირაში არის ოსმალების ექსპედიცია ომალოს ვაკე ადგილებში. წინა ექსპედიციების მგზავსათ ეს უკანასკნელი ექსპედიციაც გაუმარჯვებლათ დარჩა. ოსმალებმა ალი—ვერიფაშის წინამძღომელობით დაიპყრეს ომალოსი. ინსურგენტებ იმათ არ გასჩენიათ წინააღმდეგათ; მაგრამ ისინი მიდიოდნენ მხოლოთ უდაბნოში, სადაც ადამიანის სული არ იბადებოდა თვით იმათ მეტი. ისინი იქ ჰპოვებდნენ მხოლოთ ჩანგრეულს და მიწით აღმოვსებულს ჭებსა და სოფლებს, სადაც ხალხი აღარ იყო, და რომლებსაც მაშინვე გადასწვავდნენ ხოლმე. დაშრომილნი წყურვილით და სხვა გვარის შეჭირვებით, აგრეთვე შეწუხებული, უჭმელობითა ოსმალოს ჯარი იძულებულ იყო დაბრუნებულიყო სელინის მაზრაში. ამ დროს ინსურგენტები ხაჯი—მიხალის წინამძღომელობით გულადათ დაეცნენ უკან დაბრუნებულს ოსმალებს და დიდათ დააზარალეს. ოსმალები თვითონვე ამბობენ, რომ იმათ რამდენიმე ასი კაცი მოუკვდათ ამ ბრძოლაში. სფაკიაში მხოლოთ რამდენიმე შეტაკება მოხდა. ევროპელი ხომალდები განაგრძელებენ თავიანთს კაცთ მოყვარეულს საქმეს, ხოლო ოსმალები უწინდელივით ცრცვიან და ხოცვენ განდგომილების ცოლშვილს.

—— ოსმალოს სარეფორმო პლანებზე Nord'ში იწერებიან: „ახლა ბევრს ამბობენ იმაზე, რომ ოსმალოს მმართებლობამ უნდა მოახდინოს თავის სახელმწიფოში, ასეთი ცვლილებები, რომ უნდა შეათანასწორონ ოსმალო იმ განათლებულს ქვეყნებთან, რომელიც თვითონ სულთანს დაუვლიაო. მისი დიდებულება, სულთანი, ამ ჟამად მხოლოდ იმ აზრზე ადგას, რომ [illegible] გზებით დასეროსო მთელი [illegible] სახელმწიფო და აგრეთვე უნდაო დიდი ყურადღება მიაქციოს ხალხის განათლებას. ამ საგანზე გავასის საავენტომ ფრანცუზის გაზეთებს აცნობა ასეთი ამბები, რომელსაც არ შეიძლება კაცმა ყურადღება არ მიაქციოს. ზემოხსენებულს საავენტოს კონსტანტინეპოლიდგან სწერენ, რომ თვითონ სულთანი ყოველთვის ესწრებაო მინისტრების რჩევაში, მაშინ როდესაც უწინ წელიწადში ერთჯერ თუ ორჯერ დაესწრებოდა მეტს არაო. როგორც სჩანს სულთანი ყველას თავისუფლათ ათქმევინებს ხოლმე თავისს აზრსა. რჩევაში მოუდით მსჯელობა იმ ცვლილებაზე, რომელიც უნდა მოახდინონ ოსმალოში; დიდი მოლაპარაკება აქვთ აგრეთვე, რკინის გზების გაკეთებაზე და ხალხის განათლებაზე. ორშაბათს, როცა ყველას სათითაოთ მოუსმინა, მერე თვითონ სულთანმა წარმოსთქვა სიტყვა და იმაში გამოაცხადა, რომ მიუცილებლად საჭიროა მთელს სახელმწიფოში რკინის გზები გავმართოთ და ხალხი გავანათლოთო. რადგან ამისთანა საქმის შესასრულებლათ ჩვენს სახელმწიფოში დახელოვნებული კაცები არა გვყვანანო, ამისთვის ევროპიდგან უნდა მოვიყვანოთ საქმის მცოდნე კაცები და მაშინებიც იქიდგან უნდა მოვიტანოთო. სულთანმა სთქვა ახლა საქმე იმაშია, რომ კეთილდღეობა მივანიჭოთ ჩვენს ხალხს და მივსცეთ საშუალება, რომ ხალხს ერთმანეთში სწრაფი და გაუჭირვებელი მისვლა-მოსვლა ჰქონდესო. ეს საქმე, რაც შეიძლება, ძალიან უნდა დავაჩქაროთო, რადგან ამისთანა საქმის შესრულებით ძალიან ისარგებლებს ოსმალოს ხალხობაო.

**ბელგრადიდგან** იწერებიან გაზეთში „Courier Trandais“ 30 აგვისტოდგან, რომ ახალი ბოლგარელების თაბუნი, შედგენილი ასი შეიარაღებული კაცისაგან, გადვიდნენ ოსმალოში სერბიის დასავლეთის სამძლვარიდგან და შეერთდნენ ბალკანის მთებში მყოფ ინსურგენტების დასთან, რომელსაც წინ უძღვის პანაიოტა. ზემოხსენებული გაზეთის კორრესპოდენტი ამბობს, რომ ოსმალოს და სერბიის შორის საქმე ძლიერ გრძელდებაო. ბოლგარიის გუბერნატორმა, მიდათ—ფაშამ

---

მოქმედობს სხვებზედაცა; მაგრამ ამათის დანაკარგის სრულიადის აღდგენისათვის არის ღამის ძილი, როდესაც ყოველი მოძრაობაში მოყვანილი დღისით მხარე არის განცხრომაში და აქვს შემთხვევა, თუ საკმაო და საღი საზრდო, საკმაო წმინდა ჰაერი, თბილი საცხოვრებელი და სხვა საჭირო სიმარჯვეები აქვს, აღადგინოს თავისი დანაკარგი ნაწილები სარგებლითა. ამ განსვენების შემდგომ კაცი სდგება ისევ და უფროც კიდევ ძლიერის ღონითა, და ესრეთს შრომაში არამც თუ ატარებს კაცურათ თავის მოვალეობასა, — ამ გვარს შრომაში კაცი კიდეცა ვარჯიშდება იმ მხრივ, რომელშიაც თავს ნიჭიერათა ჰხედავს, მხნევდება, იძინებს ყოველთვის საკმაო ღონესა, გული, ჯანი და გონება ყოველთვის კარგს გუნებაზედა აქვს და მიჰყავს თავისი თავი თან და თან სისრულესა და სისაღეში: ის ამითი ძლიერდება, როგორც ჯანითა, ეგრეთვე გონების მოქმედებითა.

სვიმონ ბადლაძის მოქმედების კაცნი ხომ სულ არ გამოდგებიან, თუ ამ გვარს შრომაში არა აქვთ გამოწურთნილი თავისი თავი. იმათ როგორც გონების განვითარება და სწავლა უნდა ჰქონდეთ, ეგრეთვე უნდა შესწევდეთ ჯანი, გული, მხნეობა. ყოველივე ესენი იმათ თანასწორ მაღალს მდგომარეობაში უნდა ჰქონდეთ,—თუ არა და ისინი ვერ შეასრულებენ თავის გულის წადილსა. ეს დაბრკოლებაები, რომელნიც წინ უდევთ ყოველს ბადლაძის მოქმედების კაცს, თხოულობენ ძლიერს და დაუცხრომელს ბრძოლასა. ამ ბრძოლაში ყოველივე კაცის ნიჭიერება არის საჭირო. აქ კაცს უნდა ჰქონდეს ხერხიცა, ოსტატობაცა, სულის სიმტკიცეცა, გულის სიმხნევეცა, ჭკუის ძლიერებაცა, ცოდნის ძალაცა, ჯანის სიმრთელეცა და სხ. მხოლოდ მაშინ გამოვა ამ გვარი კაცი ამ ბრძოლიდამ გამარჯვებული; ან თუნდა თითონაც რომ მოსწყდეს ამ ბრძოლაში, იმისი საქმე მაინც თავს გაიტანს. როდესაც ამ გვარი კაცები განმტკიცებულნი არიან ამ ყველაფერს საქმეში, მაშინ ისინი აიტანენ და მოითმენენ ყოველს გაჭირვებასა და გაუმკლავდებიან შესაფერის ღონისძიებით ყოველს დაბრკოლებასა და ძალასა. იმათ მაშინ ვერა სატანჯველი ვერ შეიპყრობს და ვერ დაიმორჩილებს აგრე ადვილათა,—თუ ან კი დაიმორჩილებს სადმე! ისინი მხნეთ გაუძღვებიან თავის არჩეულს გზასა და მოქმედებასა; ისინი გაიადვილებენ ყოველს დაბრკოლებასა. გაგზავნე ამ გვარი კაცი მიწის ქვეშ მადნებში სამუშაოთ, ის ისე იმხნევებს და აიტანს, როგორც კარგი გამოცდილი მუშა; გაგზავნე ომში, ის იქნება საუკეთესო მეომარი და მხედარი; დასვი და აწერინე,—ის აქაც გიჩვენებთ თავის ძალასა. გაანა ვისმე ჩეციდამ ჩაჰბერვია, ამ გვარი მხნეები ვინც არიან,. თავისი მხნეობა. ესევები მრავლისაგან მრავალს შეეძლებოდა, თუ კი ესეთი თავ გამოდება, მხნეობა და გონიერულათ აწონილი ექნებოდა თავისი თავი, თავისი აზრები და შრომა. ამ გვარათ თავის შემუშავებისათვის არის საჭირო მხნეობა და დაუშრომელობა. ამ გვარი კაცი ერთს საქმეს შეეცდება, რომლისათვისაც თავის თავს უფრო ნიჭიერათა ჰხედავს და მინამ არ დაესევა და არ გამოალევიძებს თავის თავში ამ საქმის სამოქმედო ნიჭსა, არ მოეშვება; მერე ის დაადგება მეორე საქმეს და ამისთვისაც მინამ არ გაალევიძებს ნიჭსა, არ მოისვენებს; მერე მესამე და სხ. ნიჭი ყველაფერში თითქმის ყველასათვის საკმაო მიუცია ბუნებასა და მხოლოდ უნდა ეცადოს კაცი, რომ გაალვიძოს ეს ნიჭები. თუ კაცი თავის თავს ძალას არ დაატანს და მიუშვებს ისე ღვთის ამარობაზედ, რაც უნდა ძლიერი ნიჭიერება ჰქონდეს, დაეხშობა და ჩაუნელდება.

თითქმის ყოველთვის უფრო შემთხვევით იღვიძებს ხოლმე კაცში ნიჭიერება. ამის მაგალითს ვხედავთ ჩვენ სვიმონ ბადლაძის ცხოვრებითა. ვინ იცის, რომ იმას არ გამოევლო ისეები, რაც იმან სცადა თავის სიყმაწვილითვე და მიეცა შემთხვევა თავის ნიჭიერების განღვიძებისა, რა იქნებოდა ისა. შეჭველია თავის მამისა და სახლებისაგან კარგს არასა ნახავდა და არც არას ისწავლიდა: ია უეჭველია ამ შკოლაში გაზდილი თითონაც იმისთანა ბუზიყლაპია გაიზრდებოდა, როგორიც უნდოდა ამის მამასა, და რომელთაც ბოლოს ისეთის ცუდის თვალით უყურებდა. სვიმონში გამოაღვიძეს იმის ნიჭები და მხნეობა თვით იმისმა მდგომარეობამ. ის იყო შვილი მდიდარის კაცისა.—აქ სიცუდისა და ბატონობის მეტს კარგს ვერას ჰხედავდა, მაგრამ ბედი იმისი, რომ დედ-მამამ იმდენის ნებიერობით ისე წაიხდინეს და გააფხნევეს ხოჭიჭიდამვე ესა, რომ ბოლოს აღარც დედმამას ემონებოდა და აღარც მასწავლებელსა, რომელთაც ამ უმორჩილობისთვის დაუწყეს ამას ცუდათ მოპყრობა. აქ სვიმონმა დაიწყო სახლიდამ რბენა და მალვა, რომლითაც გაიცნო სხვა რიგი, ცხოვრება.

„სვიმონმა რაკი იგემა,—ამბობს ავტორი სამის თავს გარდასავლებისა, მშვენიერი სამეცნიერო გემო ყოვლად გამაუმეცრებელისა და გემრიელის ნერგის წკეპლებისა, ისეთი დაფთხვა, რომ რაწამს დრო მოეიდოდა ოსტატის მოსვლისა, ან რაწამს გაიგონებდა გაჯავრებულს მამის ხმასა, იმ წამსვე გაჰქრებოდა ისეთს ალაგას, რომ არავინ იცოდა სად იყო და სად არა...“

რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო ცუდს დღეს აყენებდნენ შინ სვიმონსა და იმან დაიწყო მალვა მეზობელს ქვრივს გლეხის დედაკაცებთანა, რომელთაც ეს ებრალებოდათ და ალერსით ეპყრობოდნენ. სვიმონს შეუყვარდა ისინი ამ ტკბილის ალერსისა და შებრალებისათვის. იმას ისე შეუყვარდა ისინი, რომ ის არჩევდა ამათთან გამხმარი დაობებული პურის ჭამასა, ვიდრე შინ წასვლასა და ბოზბაშისა და ფლავის მირთმევასა. შინაც ისე თუ სიბრალულით ეპყრობოდა ვინმე ამასა, ისევ გოგობიჭები, და ამისგამო შეუყვარდა ახლა ესენიც სვიმონსა. ამგვარათ

მეატყობინა თავისს მთავრობას, რომ სერბიიდგან გამუდმებით აძლევენ ბოლგარელ ინსურგენტებს შემწეობას და ამაგრებენო, მაგრამ კონსტანტინეპოლში ატყობენ თავიანთ თავს სისუსტეს და იმდენს ძალას ვერა ჰპოვებენ თავისში, რომ ამ სამთავროს ენერგიული დემონსტრაცია გაუგზავნონ. მიდათ-ფაშას მიწერილი აქვს, რომ სერბიასთან სიფრთხილით მოიქცეს და თავი დაიჭიროს, მგზავსათ ომერ-ფაშისა, რომელიც კანდიაში ცდილობს დიდს სახელმწიფოებს არა აწყენინოს რა (?).

## ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

**კონსტანტინოპოლი** 22 აგვისტოს (3 სეკტემბერს) (ოდესით). სულთანმა მიიღო რუსეთის ელჩი, გენერალ-ადიუტანტი იგნატიევი, განსაკუთრებითის პატივისცემით ლივადიიდგან დაბრუნების დროს. დიდს ვეზირს' ალი-ფაშას და უცხოქვეყნის საქმის ამინისტრს ფუად-ფაშას აქვსთ ურთიერთ შორის მოლაპარაკება კანდიის კუნძულზედ ომიანობის მოსპობაზედ. თუმც რუსეთის ელჩი ძრიელ ცდილობს რომ კანდია საბერძნეთს შეაერთონ, მაგრამ ოსმალოს მართებლობა ამაზედ თანახმა არა ხდება; ის მხოლოთ ჰპირდება კუნძულს მიანიჭოს დამოუკიდებელი მმართებლობა. იმედი არის, რომ ომიანობა კანდიის კუნძულზედ ამ ერთს თვეზედ მოისპობა.

საფრანგეთის სამხედრო ხომალდებმა შესწყვიტეს კანდიელების ცოლშვილის კუნძულიდგან საბერძნეთში გადაყვანა. მაგრამ რუსეთის სამხედრო ხომალდები კი ისევ განაგრძელებენ იმათ გადაყვანას. პრუსიის და იტალიის სამხედრო ხომალდებსაც ჰსურთ კიდევ განაგრძელონ ეს გადაყვანა. პორტა, ერთად თავისის ევროპელის მეგობრებით, ცდილობს ქრისტიანების დამდაბლებას. კონსტანტინეპოლში ამბობენ, რომ ფრანცია და ავსტრია ერთმანეთს დაეთანახმენო ოსმალოს საქმეზედ.

წინააღმდეგ რუსეთის ელჩის მეცადინეობისა, ოსმალოს მმართებლობა თანახმა არა ხდება წინათ მოსაზრულ რეფორმების აღსრულებაში მოყვანაზედ.

**ბერლინი.** 28 აგვისტოს (9 სეკტემბერს). დღეს იყო ჩრდილო-გერმანიის საკავშირო რჩევის შეყრილობა სრულის წევრებისაგან შედგენილი.

**ჟენევა,** 28 აგვისტოს (9 სეკტემბერს). გარიბალდი მოვიდა ჟენევაში და წარმოსთქვა ძრიელი სიტყვა წინააღმდეგ პაპის უფლებისა, რომელიც შემდგომში უნდა მოისპოსო.

**ვენა,** 30 აგვისტოს (11 სეკტემბერს). დღეს სწერენ ოფიციალურ გაზეთში „Die Debatte“, რომ ფრანციის და ანგლიის მმართებლობაებმა გაუგზავნესო ნოტა საბერძნეთის მმართებლობას, რომელშიაც ისინი უხსნიან იმას ნეიტრალიტეტის ვალდებულებას და თან უცხადებენო, რომ ყოველ გვარს ეხლანდელი საქმეების წესის დარღვევა ექნებაო საბერძნეთის მავნებელი შემდეგი, რომლის პასუხის გებაშიაც მარტო საბერძნეთი მიეცემაო.

**ბრემენი,** 30 აგვისტოს (11 სეკტემბერს). ვეზერის გაზეთში დღეს დაბეჭდეს ბერლინიდგან მიღებული ცნობა, რომელიც ამბობს, რომ კანდიის საქმის გადასაწყვეტლათ დასავლეთის სახელმწიფოებმა ეხლა კიდევ გაუგზავნესო პორტას წინადადება ევროპიის კონფერენციის მოწოდებაზედ.

**ვენა,** 30 აგვისტოს (11 სეკტემბერს). ავსტრიის რეიხსტაგის კამიტეტი სასულიერო საქმეებისა ითხოვს ახლანდელის სჯულის შეცვლას ქორწინებაზე და უნდა დაამყაროს სამოქალაქო ქორწინება, თუმც ამას კონკორდატი ეწინაამდეგება.

**ათინა,** 25 აგვისტოს (6 სეკტემბერს). ამ უკანასკნელს ჟამს ავსტრიის სამხედრო ნავმა მოგვიტანა ამბავი კანდიიდგან: „პორსგიალოში რომ ოსმალები იდგნენ, იმათ ჯარი მოემატათ და კრთად წავიდნენ ასკიფოს.

სამი ათასი ინსურგენტი კორონოსისა და ზიმვრაკაკის წინამძღომლობით დაეცა ოსმალოს ჯარსა, დაამარცხა და მისცა მტერს დიდი ზარალი. ეს ბრძოლა დაიწყო 19 აგვისტოს და ორს დღეს გასტანა.

**ბერლინი,** 29 აგვისტოს, ჯვარის გაზეთში ამტყუნებენ იმ ხმას, ვითომც პრუსსიას ნოტა გავგზავნოს ჰოლანდიის მმართებლობასთან, რომ რაც შეიძლება, ჩქარა მოთხარეთო ლუქსენბურგის ციხე.

— 30 აგვისტოს (11 სეკტემბერს). ნამდვილის წყაროდგან გვაცნობებენ, რომ იმპერატორი ნაპოლეონი III ამ წლის ოკტომბერს უნდა მოვიდესო ბერლინში.

**ნუ-იორკი,** 29 აგვისტოს. (10 სეკტემბერს) ჩრდილოეთის-ამერიკის შეერთებულის შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა გამოსცა პროკლამაცია, რომლითაც ის ათავისუფლებს სასჯელიდგან ყველას, ვინც სამხრეთის შტატების განდგომილებაში ერია, გარდა უპირატეს კაცებისა და იმ გვამებისა, რომელნიც ლინკოლნის სიკვდილში ერივნენ, აგრეთვე იმ პირებისა, რომელნიც ცუდათ ემყრო ბოდნენ ჩრდილოეთელების სამხედრო—ტყვეებსა.

ტფილისში მიღებული.

**პეტერბურგი,** 11 სეკტემბერს. Journal de St-Petersbourg-ში, ამბობს, რომ მისი უმაღლესობა მიხეილი ნიკოლოოზის ძე, კონსტანტინეპოლში არ წასულა, მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე მალტაში მისულა ფრეგატით, რომელსაც ეწოდება „ალექსანდრეს ნეველი“. მისი უდიდებულესობა კრიმში მიდის. საბერძნეთის კაროლი პეტერბურგში მივა გერმანიით. ფიზილ-ფაშა კონსტანტინეპოლში მივიდა. ბოლგარიის გუბერნატორი ოსმალოს მთავრობას სთხოვს, ნება მისცენ ვოლონტერების პოლკები შეადგინოს იმ ჩერქეზებიდგან, რომელნიც ბოლგარიაში არიან დასახლებულნი. პაპამ საქვეგნოთ განკიცხა იტალიის მმართებლობის დეკრეტი ეკკლესიის ქონების შესახებ და გამოაცხადა, რომ ამ დეკრეტს არაფერი ძალა არა აქვსო.

**ნოვოჩერკასკი,** 2 სეკტემბერს. უმთავრესი მოგება: 14091—6, შემდეგნი მოგებანი: 1367—2, 9545—18, 14 728—27, 7081—6, 14001—10, 6443—43, 1345—50, 16138—31, 11796—6, 10674—30, 18643—18.

## მგზავრის წიგნები.

### III.

ვახშამი მოგვიტანეს. მხოლოდ ამან გააწყვეტინა ჩიკოლიკს მაღალს საგნებზე ლაპარაკი. ძალიან უკმაყოფილო დავრჩი, რომ ჩიკოლიკისგან მრავალი სხვა-და-სხვა გვარი ქება მომესმა შესანიშნავს პირებზე და საბუთი კი არც ერთი, რომ ეს პირები იმის ქების ღირსი ყოფილიყო. ვთქვი, უეჭველად როდისმე უნდა გამოვკითხო ჩიკოლიკს ეს საბუთები; იმ დროს კი ამის რიგი არ იყო, კითხვის რადგან ყველას ცხარედ მშიოდა. მაღა (იშტა) გაღვიძებული და ყველანი ნატვრით შევყურებდით ცხელს ღომსა, რომელიც ქვაბით საქვაბეზე ჩამოჰკიდეს, რომ ჩვენს ხელის ბანაში და ტაბაკების (ფიცრის სუფრების) მოტანაში არ გაცივებულ იყო. ბიჭმა თუნგით ხელის საბანი წყალი ჩამოატარა. ტაბაკები დადგეს. თავში დაბრძანდა ჩიკოლიკი, ბოლოს ლეჩხუმელი. ხელოსნის ძმა ჩოგნით ცხელი ღომის გუნდებს აკრავდა ტაბაკებზე. სვანებსა და ხონელს რომ გაუსწორდა, ღომის მიტანა აღარ იკადრა: ის გაისვრიდა ჩოგნით ღომის გუნდასა და ვისთვისაც უნდოდა, პირდა-პირ იმისწინ დასცემდა. მოიტანეს ბროწეულ გადასხმული შემწვარი ქათმები, შემწვარი გოჭი და რგვლათ მოხარშული ქათმები. ყველანი კარგათ ვმუშაობდით. მერიქიფე (ღვინის დამსხმელი) წამის წამს ჩამოატარებდა ხოლმე საღსე სტაქანსა. ჩიკოლიკი ცოტათ რომ შექეიფიანდა, ენა აიდგა. იმას უნდოდა გემოიანი ვახშმის სამაგიერო გადაეხადნა სახლის პატრონისთვისა, თუ არ საქმით, სიტყვით მაინცა. რაიცა შეეხებოდა სიტყვით კეთილის მიგებასა, ის ამაში ძალიან დახელოვნებული კაცი ბრძანდებოდა. მაშინ გლეხები იმ მხარეში კიდევ არ იყვნენ პირადი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულნი. მაშინ გლეხისთვის ბატონ-ყმობის ამბისთანა სასიამოვნო არა იყო რა. გლეხებმა იცოდნენ, რომ ადრე, თუ გვიან, უნდა მომხდარიყო ბატონ-ყმობის გაუქმება. ისინი ისე მოუთმენლათ ელოდნენ ამ ცვლილებასა, როგორც პატარა ყმაწვილი—აღდგომასა. ყველას ყურები აცქვეტილი ჰქონდა და ყოველგან მელასავით დაძვრებოდნენ, რომ რამე ამბავი გაეგოთ ამ ცვლილებაზე. ჩიკოლიკმა კარგათ იცოდა, თუ რა სასიამოვნო იქნებოდა მასპინძლებისათვის ამისთანა ამბავი და, რადგან სიტყვის მიტი არა ეხარჯებოდარა, ამისგამო გლეხების გათავისუფლებაზე დაიწყო ლაპარაკი.

— ეხლა თქვენ კარგი დრო მიგელით. ამ ერთ წელიწადში თავისუფლებას გამოგიცხადებენ.—უთხრა სახლის პატრონის ძმას ჩიკოლიკმა.

როგორც ეტყობოდა, ამ სიტყვებმა მერი-

---

სვიმონ შინ გოგობიჭებში და გარეთ ღატაკ წვრილშვილ ქვრივ დედაკაცებში ვპოვებდა ნუგეშსა. ისე შეუყვარდა ესენი სვიმონსა, რომ როდესაც გაუგო მამამა და გაროზგა, ამისგულისთვისაც, სვიმონ მაინც კიდევ, რამწამს მოიხელებდა თავსა იქითკენ გარბოდა, მინამ ეს საწყლები იმის თვალწინ პოლიციაში არ ჩაათრევინა და არ დალახა ზივმა.

„სვიმონ რომ ჰხედავდა ამ თავის მამის უსამართლოებასა, თავის საყვარელს ქვრივს დედაკაცებსა და იმათს შვილებზედ, მოსდიოდა ბრაზი და თანდათან უფრო შესძაგდა მამა. სვიმონს უკვირდა, რომ იმის მამას იმისი დამმალეველები კი არ უღებდნენ ხელსა და პოლიცია იმის მამას კი უგონებდა და იმ საწყალ დედაკაცებს კი არა:—ისინი უფრო კარგნი ხალხნი არ არიან, რომ იმათ კი არ უგონებენო,— ფიქრობდა სვიმონ თავის გონებაში.“

მოაშორეს სვიმონ ამ საწყალ მეზობელ დედაკაცებსა და ის ახლა ჰხედავდა ნუგეშს მარტო თავიანთ გოგობიჭებ და საწყალი ნათესავის შვილებში, რომელნიც სამუდლოთ ეყარა ძაღლებივით ყურუგდებლით სვიმონის მამას, ზივი ბადლაძეს. რაკი იმათს მეტს თავის გულის შემატკივრათა და ნუგეშათ არავისა ჰხედავდა, ის გულდამწვარი და დაჩაგრული მიდიოდა ამათთან გულისმოსაქაევებლათ და დასასვენებლათ.

რამდენიც უფრო დაუახლოვდა სვიმონ მსახურებასა და ღარიბი ნათესავის შვილებსა და რაკი თვითონაც თავის თავზედ გამოსცადა დამჩაგვრელი ძალა უფროსებისა, დაინახა რომ ესენი კიდევ უფრო უარესს დღეში იყვნენ. ამისგამო დაუწყო იმათთვის გულმა ტკივილი და უწინდელი ბატონობის მაგივრათ, შეიქნა ამათი თანასწორი ქცევაში.

„რატომ არ წახვალთ აქედამა, ან არ გაექცევით მამასა,—ჰკითხავდა ის ამათა, როდესაც ჰხედავდა ამათ თავის დედმამის ცემასა და ჯავრობისაგან შეწუხებულსა:—თქვენც ხომ ამითი შვილები არა ხართ?..“

ან ჰკითხავდა ხოლმე ის გოგობიჭებსა:

„რატომ თქვენ კი არა სცემთ მამასა,— თქვენ ხომ დიდები ხართ და ვერ მოგერევათ?..“

ამგვარათ, რაკი დაუახლოვდა სვიმონ დაჩაგრულს ხალხსა და რაკი თავის თავზედაც გამოსცადა დამჩაგვრელი და შემავიწროებელი ძალა, იმან შეიძლო შედარება თავის სახლის ცხოვრებისა იმ საცოდავს სახლებთანა, სადაც დღე და ღამე შრომაში ატარებენ თავის სიცოცხლესა, ეს შრომა მიდის სხვის ხელში და თითონ კი დანატრულებულნი არიან ლუკმა პურსა და ამასთან დაჩაგრულებიც ესენი არიან თვით იმათგანვე, რომლებიც ამათის ოფლითა სცხოვრობენ. ამშემთხვევაებმა გამააღვიძეს სიყმაწვილითვე სვიმონს ფიქრი, თუ რათ უნდა ყოფილიყო ამგვარი უსამართლოება. სვიმონში ამ ფიქრმა გაატანა ძვალსა და რბილში, მინამ სახლში იყო ვერ მოხერხდა ამისი დამეგობრება შინაურებთან და იმ ცხოვრებასთან, რომელშიაც იმას დედმამა ატრიალებდა და იმან ეს თავის დაჩაგრულთ სიყვარული შეიტანა სასწავლებელშიაც. ის ყველგან ეშველებოდა და იბრალებდა დაჩაგრულსა, რომლისაგამოც შეაძულა იმან მეუფროსეებს თავი. აქ შეიქნა კიდეც ბრძოლა და ამ ბრძოლამ გაამაგრა ეს კიდევ უფრო თავის ხასიათში და უფრო შთანერგვა სიძულილი სიმაღლისა. შემდეგ, როცა წამოიზარდა ის, დაამყარა ამაზედ სხვა და სხვა წიგნებმა და თითო ოროლა პირთა.

მას აქეთ, უეჭველია, თუ სვიმონში იყო რამ გრძნობა და ძალა, უნდა ჩაეტანა იმას გულში, რომ ის შექნილიყო სასარგებლო თავის საყვარელი დაჩაგრულებისა. ის მართლაცა და შეუდგა მხნეთ ამ საქმესა.

ეს ამისი გამხნევება და ამისი ასე თავს გამოდება წარმოსდგა შემთხვევითა. ამგვარი შემთხვევა ყველას არ მიეცემა. ამისგამო კაცი კი არ უნდა ელოდეს შემთხვევასა: აცა, თვითონ შემთხვევა ჩამივარდეს პირშიაო,—ჩამაგდოს განსაცდელში და მაშინ ყველას გამოვცდი და მეც თითონაც გამოვიცდებიო,— კაცი თვითონ უნდა ეძებდეს შემთხვევასა, რომ გამოიცადოს კაცი თვითონვე უნდა თავის თავს ძალას ატანდეს, რომ შეიმუშაოს თავისი თავი, თუ უნდა, რომ ნამდვილი ღირსი წევრი შეიქნეს კაცობრიობისა,—უნდა იპოვოს უეჭველათ იმგვარი საშუალება, რომ თავი ღირსეულ კაცათ აქციოს, რასაკვირველია ჩვენთვის სულ ერთია თუ კაცი სასარგებლო იქნება: შემთხვევამ შეჰქნა ეს კაცათა, თუ თითონ ჩააგდო თავის თავი ამ შემთხვევაში, რომ კაცათ გამხდ არიყო. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ შემთხვევა ყველას არ ეძლევა ამგვარიო.

მაშინ, როდესაც ჩვენ გვეჭირება იმგვარი კაცები, რომელნიც ყოველს შემთხვევაში გამოსადეგნი იყვნენ, ჩვენს საუკეთესო ყმაწვილ თაობას შეუწირავს თავი მარტო წიგნებისთვის, და წიგნებს იქით არა საქმეში გამოსაყენებელნი არ არიან, ჩვენ, ქართველებს მოგვაქვს თავი ვაჟკაცობითა და ვაჟკაცობა დღითი დღე გამოდის ჩვენის გულიდამ და მალე ჩვენ თვითონ ჩვენის ჩრდილისავე გვეშინება. ჩვენ აღარ ვარგივართ აღარც სროლაში და ბევრს ჩვენგანს თოფი ხელში არც კი აუღია, აღარც ცხენოსნობაში, აღარც ქვეითათა, არც ხმალში და არაფერს სამხედრო საქმეში; ჩვენ ზემოთ ვსთქვით, რომ მარტო ერთს გვარს საქმეზედ დგომა კაცისაგან მავნებელიაო და ჩვენ ხომ ყმაწვილობისათვას მარტო ერთი საქმის ცოდნა ხომ, საგნების გარდა, გრომათ არა ღირს, ჩვენ მარტო წიგნები ვერ გვაცხოვრებენ, როგორც ვერ ვიცხოვრებთ უწიგნოთაცა, ჩვენ გვიჭირს ჯანის სიმთელეცა, ვაჟკაცობაცა, მხედრობაცა და სხ. ამისგამო ჩვენი სამეცადინო მარტო წიგნი არ უნდა იყვეს.

(დასრულება იქნება.)

ქიფე ძალიან გაამხიარულა. იმას ძალიან უნდოდა, რომ პირზე სიხარული არ დაეჩინა, მაგრამ თავი ვეღარ შეიმაგრა და პირზე გაიღიმა. რომ ეს ღიმილი არავის შეემჩნია, იმან ქოჩორში ხელი წაივლო, ვითომც სთქვანო, რომ თავს ვიქექავო, მაგრამ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისე მოსწია თავის ქოჩორსა და ღიმილის მაგივრათ პირზე დაიჭყანა ტკივილის გამო. ამ ხერხით იმას უნდოდა პირზე სიხარული არ დაეჩინა.

— აჰ, მაგი არ შეიძლება, ბატონო!... იგი რავა იქნება, რომ მოხდეს, რაც თავის დღეში არ გაგონილა!—მიუგო ხელოსნის ძმამ: თუმცა გულში თვითონაც ძალიან სჯეროდა ბატონ-ყმობის გაუქმება. იმან ჩიკოლიკს იმიტომ დაუწყო წინააღმდეგობა ამ საქმეზე, რომ უნდოდა, უფრო ბევრი რამ ამბავი გამოეტყუებინა; ამასთან ესეც იცოდა, რომ ჩიკოლიკი მებატონეთაგანი იყო და თავი მოუქონა.

— მჰვი არ არის, რომ უნდა მოხდეს. ბატონ-ყმობის გაუქმებაზე ხელმწიფეს კიდეც მოუწერია ხელი პეტერბურგში. ეს ცვლილება ძალიან სასარგებლო იქნება მთელი ქვეყნისთვის. დღემდის გლეხებს რაც გაწვალება ადგათ თავზე, სულ ერთიანათ მოეშლებათ. იმას შემდეგ ბატონი თავის გლეხს ხელს ვეღარ ახლებს....

— არა, ბატონო, ჩვენ კიდო ბატონი გვირჩევნია. თავათ მოგეხსენებათ, შოუჩვეველს ლხინსაო, შეჩოული ჭირი მირჩევნიაო. ვინ იცის მერე რა დაგვემართება! იქნება უარესი დროც მოვიდეს. ასთე ამბობენ, სალდათს მოგვთხოვენო!... ბატონი რომ აღარ გვეყოლოს, მერე ვინ იქნება ჩვენი პატრონი?

— ვინ იქნება და ხემწიფე!—სწრაფათ, უპასუხა მერიქიფემ ხელოსნის ძმასა.

— ისთე გგონია შენ!... ღიახ, ხემწიფე აქანეი მოგივა და თავზე დაგადგება. ჩვენი მეზობელი პეიშვილი ახლაც რომ არ გვაყენებს, მაშინ სუნთლათ მოსვენებას არ მოგვცემს; თუ თავზე დაგეცა და ყოველიფერი წაგართვა, მერე გამოუდექი და სდიე კუდში! ბრეველი იცი შენ!...—დაცინებით უთხრა მერიქიფეს ხელოსნის ძმამა.

— არა. ეგ ტყუილია. მაგისთანა საქმე როგორ შეიძლება, რომ მოხდეს? თავზე დაცემას ვინ გაბედავს? მერე მთავრობა სად არის? როგორ შეუძლიან ვისმე, ხელი შეგახოსთ!—სთქვა ჩიკოლიკმა.

— მთავრობას, ბატონო, ჩვენში ძალა არა აქვს. შარშან, ეგერ, გაღმა სოფელში, ორი კაცი წეიკიდა სულ ტყუილათ-უბრალოთ. ერთს თავისი ღობე ცოტათი გეესწია მეორე მეზობლის ადგილში. ამისთვის იგი კეტით მიუხტა ღობის პატრონს: შენ ჩემი ადგილი რეიზა დაგიჭერიაო, დაჰკრა კეტი თავში და სული გააგდებინა. მას უკან დღესაც ისთეა ის კაცი, რომ არავის ამისთვის ხელი არ უხლია. სადაა ბატონო მთავრობა?.. იგი ნახევარს ვერც კი ტყობულობს, რაც ჩვენში ცუდი საქმე მოხდება. ერთი ვერძის (უეზდის) ნაჩანაკი გვყავს და ნახევარჯელ კარში არ გამოდის. ძალიან ოტკის მსმელი კაცია. თუ დეითრო, იმას შენი ჯავრი არა აქვს.

— არა. ეგ, სულ ხომ ეგრე არ იქნება. მაშინ უეზდის ნაჩანიკიც უკეთესი გეყოლებათ, და თქვენც სულ თავისუფალი იქნებით. უნდა მოჰკიდოთ ხელი ვაჭრობას. შვილები შკოლებში უნდა მისცეთ; ისწავლიან, განათლდებიან და თქვენ ძალიან წინ წახვალთ.

— ეჰ, დალოცვილო, გლეხ-კაცს რა გააკეთებს!... ჭაი დეგვმართოს, რასაც თქვენ ბრძანებთ, ის კაი იყოს, მარა ბატონი მაინც ჩვენში დიდი ნუგეშია, შენი ჭირიმე! თუ ბატონი კაი გყავს კაცს, მტერი ვერაფერს დააკლებს“.—ამ სიტყვებით ვითომც იმან თავისი მწუხარება გამოაცხადა ბატონ-ყმობის გაუქმებაზე; მაგრამ იმის მხიარულს სახეს ზედვე ეტყობოდა, რომ, თუ ჩიკოლიკი და ბიგოლიკი იქ არ ყოფილიყვნენ, ლეკურ-ბუქნას ჩამოუვლიდა.

ჩიკოლიკი და ხელოსნის ძმა რომ ამას ლაპარაკობდნენ, მეორე თავში ხონელი და ლეჩხუმელი იმავე საგანზე ერთი ერთმანეთს ებრძოდნენ. რაკი თავისუფლების ამბავი ლეჩხუმელს ყურში ჩაეწვეთა, სიხარულის გამო ფეხზე აღარ იდგა. ის ელრიჯებოდა ხონელსა, თანაც ტანში ირხეოდა და მხიარულების ნიშნათ თავზე ჩამოფხატებულს ჩაბალახიანს ქუდსა ხან იქით გვერდზე მიიქცევდა და ხან აქეთ გვერდზე.

— ნეტაი ღმერთი იმ ჩემ ბატონს მომაშორებდეს, თვარა კაცი რავა მეჯობინება ქვეყანაზე! შენ კი იცნობ ჩემს ბატონს?—ჰკითხა ლეჩხუმელსა ხონელმა.—იმ კურტუმ-ქნევია ჭიპაშვილს ვინ არ იცნობს!.. დაწყევლოს ღმერთმა იმისი ფეხ-მოტეხილი თავი (კოჭლი ბატონი ჰყოლია). შარშან ბოქოულებით (იასაულებით) სახში შამომივარდა. ერთი მეწველი ძროხის მეტი სახში არა გაგვაჩნდარა, და ისიც წაგვართვა სულ ტყულა-უბრალოთ! შარი მომიგონა, ერთი წელიწადი არ მემსახურებოდიო!... ღვთის წინაშე, ტყულს ვერ ვიტყვი, ერთი კვირე, მართალია, არ მიმსახურია. რაუნდა მექნა! სიმიდი მქონდა გასათოხნი, გოუთოხნელს ხომ ვერ დაავგდებდი. აჰ, ამ ერთი კვირის უმსახურობისთვის ოცი მანათის ძროხა წამართვა. ღმერთო, ნუ 'მეარგებ იმ ფეხმოტეხილს ჩემ ნიკორას (ძროხის სახელია). იმას რომ მოვშორდე, მეტი რაღა მინდა! ხუთ წელიწადს იქით მოსახლეთ კაცი არ მეჯობინება. წელიწადში სამ თუმანს მართვა მე ვაძლევ ჩემ ბატონს შინაყმობისთვის. რომ ის დასაქცევი არა, ეს ფულები ხომ სულ მე დამრჩებოდა.

— ჯერ ქვეყანა ისთე არ მონათლულა, რომ ბატონ-ყმობა მასთე ადვილათ გადავარდეს. თუ კაი თავისუფლება იყოს, მაგისთანა კაცებიც არ დეიწყებენ იმაზე ლაპარაკს. ჩიკოლიკი არ ბძანდებოდა მაგი, რომ ამისთანა წუმაში ძალათეი წამოგვათრია! არა. ის თავისუფლება ისთევე მაგენის სასარგებლო იქნება. ხემწიფემ რომ კიდეც მოგვცეს თავისუფლება, მაგენი დაგვიმალავენ. ჩინონიკები მებატონები არ არიან, აპა, რა არიან?..

— ჩინონიკებს უგლეხებოთაც ბრევლი ფული აქვთ. მაგენს ხემწიფე აძლევს ჯამაგირს. რაც ხემწიფეს ჰსურს, მაგენსაც იგი ენდომებათ.

— ჰი, ისთე გგონია შენ! თუ მაგრეა, აპა რეიზა აქამდინ არ გაათავისუფლეს თავისი ყმები ჩინონიკებმა. შენ სუნელი ხარ, ჩემო ბიძია. არაფერი არ გეყურება. რაც მეტი ექნება, ჩინონიკსაც იგი ურჩევნია. იგი არ ურჩევნიათ, რომ ჯამაგირსაც ეიღებენ და გლეხკაცსაც გამოართმევენ. სუნელს რა უნდა გელაპარაკო?

— სუნელიც ხარ და არც იცი! ხემწიფეს თუ უნდა, მაგენი ვერაფერს გაბედავენ.—ზაცხარებით მიუგო ლეჩხუმელმა.

— ბასწი იქით.—ჩუმათ შეჰყვირა ხონელმა და ზურგი შეაქცია ლეჩხუმელს.

როგორც რომ ბატონ-ყმობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ყველანი გამხიარულდნენ. თუმცა სვანებს ქართულისა ბევრი არა გაეგებოდათ რა, მაგრამ თავისუფლების ამბავმა ისინიც მოალხინა და დიდი შექცევით აკრახუნებდნენ ქათმის ძვლებსა. ერთს სვანს ასეთი გძელი და თეთრი კბილები ჰქონდა გამოვარდნილი, რომ სწორეთ კბილებდაკრეჭილი მგელი გეგონებოდათ. ამ საზოგადო მოლხენაში მხოლოდ ერთი ქუდაბზიკა არ ერეოდა. იმას თავი ჩაეკიდა და უგემურათ იღეჭებოდა. ღვედში იმას არ გაუხარია: სულ თავის ავათ-მყოფს ცხენის გლოვაში იყო. ეს კაცი სახეზე შეიცვალა, ფერი აღარ ედო და კურდღელსავით ყველასი ერიდებოდა. ვინ იფიქრებდა, რომ ეს ისევ ის უწინდელი ყოყოჩა ქუდაბზიკა ბძანდებოდა, რომელიც ასე ბატონურათ ემყრობოდა ხონელს და ლეჩხუმელს. ის წამის-წამს ოხრავდა: „ვაიმე, ჩემო ხუთო თუმანო დაკარგულო!... რავქნა ახლა, რავა-უნდა ვიარო ქვეითათ სვანეთამდინ. რა კაი ცხენი დამეღუპა, პა, პა, პა, პა!...“ იმ საღამოს ქუდაბზიკას პირის-პირ შევხვდი. თვალი ვეღარ გამიმართა და ვულნაღვლიანათ შემომჩივლა: „არ გებრალები, ცხენი მიკვდება. რა მეშველება სვანეთამდინ!“. ეს სიტყვები ასეთი სისაწყლით წარმოსთქვა, რომ თან შემეცოდა და თან სიცილიც ვეღარ შევიკავე, როცა წარმოვიდგინე უწინდელი იმისი სიამაყე და ახლანდელი დამცრობა. ჩემ დაცინებაზე გაჯავრების მაგივრათ იმან თვალები ჩამოუშვა და გამშორდა. იმ ღამეს ასეთ რიგათ იყო გამოშტერებული, რომ შეშლილი გეგონებოდა. ჩიკოლიკმა დაჰპირდა, სვანეთამდის ცხენს გიქირავებო და სვანეთში სხვა ცხენს გიყიდიო, მაგრამ იმის ნუგეშობას მაინც არა ეშველარა. როცა მეორე დღეს იმისი ვირთაგვა ცხენი ისევ მოცოცხლდა, ქუდაბზიკაც მხოლოდ მაშინ გამოერკვა და დადგა ისევ კარგს ქეიფზე. ამ გვარი კაცები ბევრია იმერეთში. ისინი ძალიან ცხარი ბუნებისანი არიან. ცოტაზე გაფიცხდებიან. ყოველ საქმეს ძალიან ღონივრად მისდგებიან ხოლმე და თუ რამე გაეწყოთ, თავს არ იზოგავენ. საქმე თუ კარგათ მიდის, ღონეც და მუყაითობაც თანდათან თუ ემატებათ, თორემ არ აკლდებათ. მაგრამ ცოტა რამ დაბრკოლება რომ მიეცესთ და თუ შეატყვეს, რომ საქმე ცუდათ მიდის, მაშინ ამისთანა კაცები ღმერთმა შეინახოს! ისინი უეცრად მოსწყდებიან, იმედი დაეკარგებათ და დაიბნევიან. ამ მღვრომარეობისგან, იმათ თითქმის-ველარაფერი გამოიყვანს, თუ რომ თვითონ ამათმა დაწყებულმა საქმემ ისევ არ იკეთა.

მეორე დღეს წვიმამ ისევ თავი დაგვიკვრა: ალბათ თვითონ ღმერთს არ მოსწონდა, რომ თვალ-შეუწვდენელს მთებზე იმის სამყოფელს ვუახლოვდებოდით. გამოთხოვების დროს ხელოსნის ძმამ მოგვარა ბიგოლიკს თორმეტი წლის ბიჭი. ეს იყო ხელოსნის შვილი.

ხელოსნის ძმა სთხოვდა ბიგოლიკს, რომ პატარა ბიჭი თან წაეყვანა სასამსახუროთ იმ პირობით კი, რომ პატარა ბიჭისთვის წიგნი ესწავლებინა. ჩიკოლიკს ეს ამბავი, როგორც შეატყვე, ცოტათი ეწყინა: რატომ მე, პირველს პირს, არ მომგვარა და ბიგოლიკს სთხოვაო ამ ბიჭის გაზდა. როცა ბიგოლიკმა ყმაწვილს ლაპარაკი დაუწყო, ჩიკოლიკიც იმდროს მივიდა ყმაწვილთან და გამხნევება დაუწყო სწავლაში: „შვილო, ისწავლე თორემ, ახლანდელს დროში უსწავლელი კაცი არვარგა. ჰო, მართლა, მე მაქვს სახლში კარგი საკითხავი წიგნები, ვისი ხელით გამოგიგზავნო, თორემ ჭეშმარიტათ გამოგიგზავნი; მაგრამ ეს არაფერია. მეორით რომ მოვალ მე თვითონ მოგიტან“.

— ღმერთმა შენი წყალობა ნუმოგვაკლოს.—უთხრა ხელოსნის ძმამ ჩიკოლიკს.

— არა, შვილო, ეგ მადლობათ არა ღირს. ჩვენი ვალია, რომ ჩვენს მცირე მოძმეს ხელი გავუმართოთ.

— ღმერთმა თქვენი ჭირი მოგვცეს. თქვენ ძმობას ვინ ღირს!

დარწმუნებული ვარ, რომ ჩიკოლიკს იმის შემდეგ არც კი გაახსენდებოდა თავის დანაპირები. ის თუ კი შეატყობდა, რომ სიტყვით კაცს მოიმადლიერებდა, ასეთ ასეთებს ეტყოდა და დაჰპირდებოდა, რომ რაც გინდა: ყველა იტყოდა: ეს კაცი ციდან არის ჩამოფრენილიო; მაგრამ საქმით იმის ასრულება, რასაც სიტყვით იტყოდა, სრულებით არ იცოდა.

ამ დროს ყველანი ცხენზე შევჯექით, და მასპინძელს გამოვეთხოვეთ:

## სხვა და სხვა ამბავი.

შეერთებული ტყუპი. დონის ყაზახის მხარეში ერთს სოფელში ამ წელს თიბათვის დამდეგს ერთ სალდათის ცოლს შეერთებული ტყუპი ჰყოლია ამ სახისა: ორი თავი აქვს, ოთხი ხელი და ორი მკერდი. ბეჭებ ქვეშ ერთდებიან: ტყუპის ცალებსა ბეჭები ერთმანერთს მოშორებული ჰქონიათ; ქვემოთ კი მუცელი ორთავეს ერთი აქვთ, ქალ-ვაჟობის ნიშანი ერთი ჰქონიათ, საჯდომის მილი ერთი ჰქონიათ, ფეხი სამი, ორი კარგათ შემთავრებული და ერთი კი ნაკლებ შემთავრებული. თოთხმეტ დღეზე ერთი მომკვდარა. მეორეს კიდევ ექვსი დღე უცოცხლია. შესანიშნავი ის არისო, რომ მანამ მეორე მოკვდებოდა, პირველი ყმაწვილის გვამი თბილი ყოფილა და არ ამძოვრებულა.

შიშისაგან სიკვდილი. პოლშისკენ ერთ სოფელში მუშაობის დროს ატარებს თურმე ერთი კაცი დათვსა. მიადგა ერთ სახლსა და ნახა, რომ კარებ გამოგდებულია. შესვლა მოინდომა კაცმა, ენახო, არის ვინმე შინა თუ არაო. დათვი დადგა უკანა ფეხებზე და ფანჯარაში თავი შეჰყო. სახლში დიდი არავინა ყოფილა, სამ პატარა ყმაწვილს გარდა. ყმაწვილებს რომ დაუნახავთ ფანჯარაში დათვის თავი შეშინებიათ, ყვირილი შეუქნიათ და შიშისაგან ისეთი პრანჭვა მოსვლიათ, რომ თუმცა ყმაწვილებს მიშველებიან, მაგრამ ერთი ყმაწვილი მაინც მომკვდარა, ორნი კი ძნელათ არიან ავათაო.


საბიბლიოგრაფიო ცნობა.

**ქუთაისში,** უ, გ. კალანდარიშვილთან და ხელთუფლიშვილის მაგაზინში იყიდება შემდეგი წიგნები:

**ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი,** შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, ფასი ხუცური ანბანით, სამი შაური.

**ანბები ძველის დროების ხალხებზე.** 1 ნაწილი, ფასი სამი შაური.

**თ. გიორგი ერისთავის თხზულება,** ავტორის პარტრეთით, ფასი 1 მანეთი.

**საქართველოს კალენდარი,** შედგენილი ნ. ავალიშვილისაგან, ფასი ათი შაური.

---

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება **ვეფხვის ტყაოსანი.** ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. ფასი **ათი შაური.**—

---

კერძოობითი განცხადება.

ისყიდება სახლი 532 საჟენი მიწით, ავლაბარში. ფასი შეიტყობა ბელონოვსკისას, ბეგლაროვისა და არვანტაკის სახლს გვერდით.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 15-го сентября 1867 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი გ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.